საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF AGRICULTURAL SCIENCIS

სამარცვლე – პარკოსანი კულტურების დაცვის სისტემა

(რეკომენდაცია)

თბილისი
2018

სამარცვლე – პარკოსანი კულტურების დაცვის სისტემა

ნათესი ფართობების მიხედვით საქართველოში სამარცვლე-პარკოსანი კულტურებიდან წამყვანი ადგილი უკავია ლობიოსა და სოიას. დათესვიდან მოსავლის აღებამდე, მათ მნიშვნელოვნად აზიანებს მავნებლების და დაავადებების კომპლექსი. მავნებლებიდან ზიანი მოაქვს მახრას, მავთულა და ცრუმავთულა ჭიას, ხვატარს, ბუგრს, ტკიპას, ლობიოს მემარცვლიას და სხვ. სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებებიდან: ანთრაქნოზს, ჭკნობას, ფუზარიოზს, ჟანგას, ბაქტერიოზს და სხვ. ზემოთ აღნიშნული მავნებლებისა და დაავადებებიდან განსაკუთრებით საშიშია ლობიოს მემარცვლია და ანთრაქნოზი, რომელთაც მათთვის ხელსაყრელი ამინდის პირობებში, დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ.

ლობიოსა და სოიას დაცვის სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებებს. კერძოდ, აუცილებელია 2-3 წლიანი თესლბრუნვის დაცვა, ამასთან, სამარცვლე პარკოსნები არ შეიძლება დაითესოს პარკოსანი ბალახების შემდეგ. დაუშვებელია ლობიოს მოყვანა ჭარბტენიან ნიადაგზე, რადგანაც აქ ძლიერ ვითარდება სიდამპლეები.

ნიადაგში მცხოვრები მავნებლების, სოკოვანი, ბაქტერიული დაავადებების შემცირების მიზნით საჭიროა წინამორბედი კულტურის ნარჩენებისაგან ნაკვეთის გასუფთავება და დამუშავება 6-8 სმ სიღრმეზე. სარეველებისა და ჩაცვენილი თესლის აღმოცენების შემთხვევაში აუცილებელია გასუფთავებისა და დამუშავების განმეორება 8-10 სმ სიღრმეზე. ნიადაგი მზრალად, 22-25 სმ უნდა მოიხნას სიღრმეზე, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში - დეკემბრამდე, ხოლო მთისწინებსა და მთის ზონაში - არა უგვიანეს 15 ნოემბრისა. დასავლეთ საქართველოში მზრალად ხვნის ნაცვლად ტარდება საგაზაფხულო ხვნა. მზრალი შემდეგ სწორდება-მოშანდაკდება. ადრე გაზაფხულზე უნდა მოხდეს მზრალის კულტივაცია 10 სმ სიღრმეზე ან აოშვა გუთნით 12-15 სმ სიღრმეზე (თუ მზრალი დამჯდარია), რასაც უნდა მოჰყვეს ფარცხვა.

სამარცვლე პარკოსნების მოსავალს და მის ხარისხს სარეველა მცენარეები აქვეითებენ, ისინი შეიძლება გახდნენ აგრეთვე ზოგიერთი მავნებლისა და დაავადებების გამომწვევების რეზერვატორები. მოსალოდნელი ძლიერი სარეველიანობის შემთხვევაში სარეველების წინააღმდეგ (ძირითადად ერთწლიანი სარეველების) თანმიყოლებული დამუშავებით შეიძლება გამოყენებული იქნას ჰერბიციდები: პრომეტრინი 4 კბ/ჰა, თესვამდე ან თესვის შემდეგ აღმოცენებამდე, ბაზაგრანი – 2-3 კგ/ჰა (ერთწლიანი ორლებნიანი სარეველების წინააღმდეგ) 1-3 ნამდვილი ფოთლის ფაზაში.

ლობიოსა და სოიას ვეგეტაციის პერიოდში ნიადაგის ქერქი დაუყოვნებლივ უნდა დაიშალოს რწყვის ან წვიმის შემდეგ,ფესვის სიდამპლეების განვითარების თავიდან აცილების მიზნით. მინერალური სასუქები უნდა შეიტანონ კარტოგრამების მიხედვით.

აუცილებელია ლობიოსა და სოიას მოსავლის დროულად (პარკებიდან თესლის ჩაცვენამდე) შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღება, გაცეხვისა და დახარისხების ადგილის გასუფთავება, ნარჩენების განადგურება, რადგან აქ შეიძლება მავნებლებმა და დაავადებების გამომწვევებმა გამოიზამთრონ.

პარკოსნების მარცვლის დახარისხება-გადარჩევა, თესლის ტენიანობის კონდიციამდე დაყვანა და მისი შენახვა მშრალ პირობებში კარგია საწყობებში თესლის დაბინავებამდე.

ვეგეტაციის პერიოდში გასატარებელი ღონისძიებები

თესვის წინ ეფექტურია დაავადებების - ანთრაქნოზის, ჟანგას, ჭკნობის - წინააღმდეგ თესლის დამუშავება ხელატის 0,5% ხსნარში (20 წთ ექსპოზიციით); შემდგომში კი - მათი გაშრობა, მარშალით დამუშავება. კარგია აგრეთვე სათეს მწკრივებში სოკო ტრიქოდერმინის (45 კგ/ჰა) შეტანა. ბაქტერიოზის წინააღმდეგ საჭიროა თესვის დღეს, მშრალი მეთოდით პრეპარატ ფიტობაქტერიომიცინით თესლის დამუშავება (3 კგ/ტ), ნიადაგის მავნებლების - მახრას, ხვატრების - წინააღმდეგ თესვამდე 7-10 დღით ადრე თუთიის ფოსფიდზე დამზადებული მოშხამულ-მისატყუარი მასალის შეტანა და ჩაფარცხვა. მავნებლების ეკონომიკური ზღვარია 0,5-1 ც/მ^2.

კარგია თესვის დროს ნახევრად სველი წესით ფენთიურამის გამოყენებით მავთულა და ცრუმავთულა ჭიების, მღრღნელი ხვატრების, ლობიოს მემარცვლიას წინააღმდეგ თესლის შეწამვლა (3-4 კგ/ტ თესლზე, წყალი 5-10 ლ/ტ). მავნეობის ეკონომიკური ზღვარი, ზემოთ აღნიშნულ მავნებლებზე ისეთივეა; ლობიოს მემარცვლიაზე კი 5 ეგზემპლარი 100 გ მარცვლეულზე.

საჭიროა ვეგეტაციის პერიოდში ბუგრების, თრიფსების და ბაღლინჯოების წინააღმდეგ 0,05% დეცისის ან ციმბუშის, ან სხვა პირეტროიდული პრეპარატების გამოყენება (0,25-0,3 კგ/ჰა). მავნეობის ეკონომიკური ზღვარია 20-25% ფოთლების დაზიანება ან 3-5 ეგზემპლარი ერთ ფოთოლზე.

დაკოკრების ფაზაში, ტკიპის წინააღმდეგ გამოიყენება 0,2% ენლიდორი ან სხვა აკარიციდი (1-1,2 კგ/ჰა). დაავადებების – ანთრაქნოზის, ბაქტერიოზის, ჟანგას, ჭკნობის წინააღმდეგ გამოიყენება 1% ბორდოული სითხე დაავადების ნიშნების გამოჩენისთანავე (5-6 კგ/ჰა).

ყვავილობის ფაზაში ნაცრის წინააღმდეგ კარგია დაფქვილი გოგირდის შეფრქვევა (15-30 კგ/ჰა).

ყვავილობის შემდეგ პარკების სიმწიფეში შესვლამდე – ანთრაქნოზის, ჟანგას, ნაცრის წინააღმდეგ გამოიყენება კომბინირებული ნაზავი, 0,8% კოლოიდური გოგირდი, 1% ბორდოული სითხე (4-5+5-6 კგ/ჰა). ტკიპას წინააღმდეგ გამოიყენება იგივე პრეპარატები, რაც წინა შემთხვევაში. მოსავლის აღების შემდეგ ლობიოს მემარცვლიას წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა სასურსათოდ გათვალისწინებული მშრალი მარცვლის შერევა დაფქვილ ნახშირთან და ასე შენახვა, ან თერმული დამუშავება მაღალ ტემპერატურაზე. სათესლე ლობიოს დამუშავება ფენთიურამით, სველი წესით. დაუშვებელია ლობიოს დამუშავება ქიმიური გზით და სათესლე ლობიოს თერმული დამუშავება, რადგან ეს უკანასკნელი უკარგავს ლობიოს აღმოცენების უნარს. მსგავსი ღონისძიებები ტარდება სოიას დასაცავადაც.